SN 10195/14

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის განცხადება ევროკავშირის სახელით 2014 წლის 3 მაისის მსოფლიო პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით.

მსოფლიო პრესის თავისუფლების დღის 21-ე წლისთავზე, ევროკავშირი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თავისუფალი , მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი მედია დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს, ხელს უწყობს რა ინფორმაციისა და იდეების თავისუფალ გაცვლას და უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მთავრობას, დაიცვან საერთაშორისო ნორმები და ბოლო მოეღოს ჟურნალისტების დაშინებას, მათ მიმართ ძალადობას, ცენზურასა და უკანონო დაკავებას და მსგავსი ქმედებების დაუსჯელობას. ჟურნალისტების დაცვისაკენ მიმართული ძალისხმევები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ პირებით, რომლებიც ოფიციალურად აღიარებულნი არიან ჟურნალისტებად, არამედ ასევე უნდა მოიცავდეს დამხმარე პერსონალსა და ყველას, ვინც ახალ მედიას მასობრივი აუდიტორიასთან დასაკავშრებლად იყენებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სფეროში ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა წარმოქმნეს გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის ახალი გზები, მაგრამ ასევე ახალი გამოწვევებიც. ევროკავშირი მტკიცედ ეწინააღმდეგება ინტერნეტისა და სხვა ახალი მედია საშუალებების გაუმართლებელი შეზღუდვებს. ადამიანის ყველა უფლება, რომელიც არსებობს რეალურ სივრცეში, ასევე ვირტუალურშიც უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით ეს ეხება აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.

ევროკავშირი მალე მიიღებს "ევროკავშირის გზამკვლევს ოფლაინ და ონლაინ რეჟიმში გამოხატვის თავისუფლების თაობაზე". ამ გზამკვლევის მიზანია გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვების დაძლევა, მედიის თავისუფლების ხელშეწყობა და მთელ მსოფლიოში ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლებისა და თანამშრომლებისათვის სასარგებლო სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა.